ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N297

ქ.ამბროლაური. 16 დეკემბერი. 2019 წელი

ერთი მხრივ, ამბროლაურის მუნიციპალიტეტი (შემდგომში "შემსყიდველი"), წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის მერის ზვიადი მხეიძის სახით და მეორე მხრივ **შპს ჯეო სტრიმი**, წარმოდგენილი მისი დირექტორის ქეთევან გოთუას სახით (შემდგომში "მიმწოდებელი"), სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობისა და მიმწოდებლის სატენდერო წინადადების საფუძველზე, **NAT190022103** ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინთა განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. ,,ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ - ,,ხელშეკრულება") შემსყიდველ ორგანიზაციასა და ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით,რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. ,,ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3. ,,შემსყიდველ ორგანიზაცია" (შემდგომ ,,შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4. ,,მიმწოდებელი" ნიშნავს პირს, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება ტენდერში და აწვდის საქონელს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5. ,,დღე", ,,კვირა", ,,თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. საშობაო ნაძვის ხის შეძენა. /CPV39298910/.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 19000,00 (ცხრამეტი ათასი ლარი და 00 თეთრი) ლარს, დღგ-ს ჩათვლით.

3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3.3. დაფინანსების წყარო: 2019 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი.

4. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

„მიმწოდებელი" ვალდებულია:

4.1. ხელშეკრულების გაფორმებიდან, არაუგვიანეს 10 კალენდარული დღისა უზრუნველყოს ხელშეკრულების საგნით გათვალისწინებული საქონლის მიწოდება.

„შემსყიდველი**"** ვალდებულია:

4.2. უზრუნველყოს მიმწოდებელი აღნიშნულ მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული საჭირო ინფორმაციით.

4.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის დროულად მიწოდების შემდეგ ჩაურიცხოს მას საბანკო ანგარიშზე გაწეული მომსახურების ღირებულება ამ ხელშეკრულების 5.1 პუნქტით განსაზღვრული პირობებითა და ვადებში.

5. ანგარიშსწორება

5.1. უნაღდო ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორცელდება საქონლის მიწოდების და მომსახურების გაწევის, შემდეგ გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტისა და წარმოდგენილი საგადასახადო დოკუმენტაციის საფუძველზე, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

5.2. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარში.

6. მხარეთა პასუხისმგებლობა

6.1. ხელშკრულების 4.1 პუნქტის დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელი იხდის ჯარიმას, სახელშეკრულებო ღირებულების 0.02% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

6.2. საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულების შესრულებისგან.

6.3. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს სახელშეკრულებო ღირებულების 0.1%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება მიმწოდებელთან და მოსთხოვოს მას დაკისრებული ჯარიმის ანაზღაურება.

6.4. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო, ხელშეკრულების საერთო ღირებულების 20 %-ის ოდენობით.

6.5. ხელშეკრულების პირობების ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო, შესასრულებელი ვალდებულებების 10 %-ის ოდენობით.

6.6. ხელშეკრულების 5.1 პუნქტის დარღვევის და მიმწოდებლის მოთხოვნის შემთხვევაში, შემსყიდველი იხდის ჯარიმას, გადაუხდელი თანხის 0,02%-ს ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

7. მიღება-ჩაბარების წესი

7.1. ხელშეკრულებით განსაზღვრული საქონლის მიწოდების დასრულების შემდეგ ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი, რომელსაც ხელს აწერს ორივე მხარე.

8. ფორს-მაჟორი

8.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოებების შედეგი.

8.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარებისათვის გადაულახავ ან მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველსა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

8.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებებისა და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს იგი თავისი შეხედულებისამებრ მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობებისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით

ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

8.4. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გრძელდება ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება კომპენსაციის მოთხოვნის უფლების გარეშე.

9. ხელშკრულებაში ცვლილების შეტანა

9.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე;

9.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართი სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად და დაერთვება ხელშეკრულებას.

9.3. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%ზე მეტი ოდენობით.

9.5. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის აუცილებლობისას ინიციატორი მხარე ვალდებულია არანაკლებ 3 (სამი) დღით ადრე მიმართოს მეორე მხარეს აღნიშნული ცვლილების აუცილებლობის დასაბუთებული წერილობითი თხოვნით. წინააღმდეგ შემთხვევაში მხარეს უფლება აქვს უარი თქვას ცვლილების განხორციელებაზე.

9.6. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ;

9.7. მხარე ვალდებულია არანაკლებ 2 (ორი) დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 8.6. პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის თაობაზე.

9.8. ხელშეკრულება ასევე შესაძლებელია შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10. ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულება შეიძლება დაირღვეს:

ა) მხარეთა შეთანხმებით.

ბ) ფორს-მაჟორული სიტუაციით.

გ) ხელშკრულების ცალმხრივი დარღვევა შესაძლებელია რომელიმე მხარის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში.

11. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

11.1. კონტროლი გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებისა და გაწეული მომსახურების ხარისხის პროცესის კონტროლს.

11.2. შესრულებულ მომსახურებაში გამოვლენილ ნაკლოვანებებს ინსპექტირების გამწევი პირი აფიქსირებს ოქმით. დაფიქსირებული ხარვეზების გამოსწორება ხდება „მიმწოდებლის“ მიერ საკუთარი ხარჯებით.

12 . გარანტია

12.1 მიწოდებულ შესყიდვის ობიექტზე ვრცელდება გარანტია მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არანაკლებ 2(ორი) წელი.

12.2. შემსყიდველის მხრიდან შესყიდვის ობიექტის ექსპლუატაციის ნორმების დაცვის შემთხვევაში, საგარანტიო ვადის განმავლობაში მიმწოდებელმა საკუთარი ხარჯებით უნდა აღმოფხვრას ექსპლუატაციის პროცესში

გამოვლენილი ნებისმიერი ხარვეზი/წუნი (ტრანსპორტირების ჩათვლით), საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოს წუნდებული შესყიდვის ობიექტის შეცვლა ახლით, ასეთი ხარვეზის/წუნის გამოვლენიდან შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისათვის შესაბამისი წერილობითი შეტყობინებიდან (მათ შორის ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალების გამოყენებით) გონივრულ ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს 5(ხუთი) კალენდარული დღისა.

13. დავის გადაწყვეტა

13.1. წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ყველა დავა მხარეებს შორის წყდება ურთიერთშეთანხმების გზით.

13.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

14. სხვა პირობები

14.1. ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

14.2. ხელშეკრულება შედგენილი არის ქართულ ენაზე.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1. ხელშეკრულება ძალაშია მისი გაფორმებიდან 2020 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

16. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი	**მიმწოდებელი**
ამბროლაურის მუნიციპალიტეტი	**შპს ჯეო სტრიმი**
ქ.ამბროლაური. ბრატისლავა რაჭის ქ.11	თბილისი, გრიბოედოვის ქ. #1/3
ს/კ 222938490	400113685
სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი TRESGE22	ს.ს ,,თიბისი ბანკი“ TBCBGE22
ა/ა GE24NB0330100200165022	GE90TB7572236020100002
ზვიადი მხეიძე	ქეთევან გოთუა

/ქეთევან გოთუა/